ტერაკოტის არმია

წაიკითხე ტექსტი ყველაზე უძნაურ ჯარისკაცებზე.

50 წლის წინ ჩინეთში თიხის ფიგურები იპოვეს. ისინი ტერაკოტის ანუ **გამომწვარი** თიხის **მეომრები** იყვნენ. 8000 მეომარი თხრილში იდგა იმპერატორის საფლავთან. ფიგურები მიწით იყო დაფარული. ფიქრობენ, ისინი 2200 წლის წინ შექმნეს. იმ დროს ჩინელებს ეგონათ, რომ მეომრები იმპერატორს სიკვდილის შემდეგაც დასჭირდებოდა.

როგორ შექმნეს თიხის მეომრები? ვარაუდობენ, რომ თითოეული მეომრის თავი ცალკე დაამზადეს, სხეული – ცალკე. შემდეგ კი შეაერთეს. ყველა მეომარი არის ადამიანის სიმაღლის. არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს. ასევე ფიქრობენ, რომ ფიგურები შეღებილი უნდა ყოფილიყო. თუმცა ახლა ძნელია ფერის გარჩევა. თიხის მეომრებს ნამდვილი იარაღი უჭირავთ.

ტერაკოტის არმია ჩინეთის სიამაყეა. ჩინელებმა თხრილი გადახურეს, რომ ეს ადგილი კარგად იყოს დაცული. მას ყოველ წელს უამრავი ტურისტი სტუმრობს.

რა იყო ამ ტექსტში შენთვის ყველაზე საინტერესო?

დონე: *B* *გარდამავალი*, **კომპონენტი:** *ფაქტი და მოსაზრება*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) თიხის მეომრებს ნამდვილი იარაღი უჭირავთ.

ბ) ფიგურები, ალბათ, 2200 წლის წინ შეიქმნა.

გ) ფიგურები, სავარაუდოდ, შეღებილი იქნებოდა.

2 ტექსტში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, თუ:

ა) ვისთვის დაამზადეს ტერაკოტის ფიგურები.

ბ) როგორ შეიძლებოდა გაეკეთებინათ ფიგურები.

გ) როდის აღმოაჩინეს ტერაკოტის ფიგურები.

3 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) მეომრების ფიგურები საერთოდ არ ჰგავს ერთმანეთს.

ბ) ტერაკოტის არმიას უამრავი ტურისტი ნახულობს.

გ) ფიგურებმა ფერი, ალბათ, მიწაში დების გამო შეიცვალა.

4 ტექსტიდან ჩანს, თუ:

ა) რატომ გადახურეს ადგილი, სადაც ტერაკოტის არმია იპოვეს.

ბ) რატომ გამოიყენეს მეომრების ფიგურებისთვის ტერაკოტა.

გ) რატომ შეღებეს ჩინელებმა ტერაკოტის ფიგურები.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ტერაკოტა **<u>გამომწვარი</u>** თიხაა. **<u>გამომწვარი</u>** არის:
   ა) მზეზე დებით გამაგრებული.
   ბ) მიწაში დებით დაძველებული.
   გ) ცეცხლზე დებით გამომშრალი.

2. ჩინეთში იპოვეს თიხის 8000 **<u>მეომარი</u>**.
   ა) იარაღი. ბ) ფიგურა. გ) ჯარისკაცი.

2 სწორად შეარჩიე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.

ცალკე	*უნდა*	*წინ*

1. 50 წლის ---------- ჩინეთში თიხის ფიგურები იპოვეს.
2. ფიქრობენ, ფიგურები შეღებილი ---------- ყოფილიყო.
3. ვარაუდობენ, რომ მეომრების თავები ---------- დაამზადეს.

3 დაკავშირე ხაზებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

სხეული	მებრძოლი
მეომარი	სამარხი
საფლავი	ტანი

▶▶▶ გრამატიკა

1 ჩაწერე საჭირო სიტყვა თითოეულ წინადადებაში.

მეომრები	**მეომრებს**	**მეომრების**

1. ---------- დანიშნულება იმპერატორის დაცვა იყო.
2. ---------- ადამიანის სიმაღლის არიან.
3. ---------- იარაღები უჭირავთ.

გრამატიკა

2 დაასრულე სიტყვა.

არმია ჩინეთის პირველი **<u>იმპერატორის. . .</u>** შექმნეს.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ჩინეთში 8000 ---------- იპოვეს. *(ფიგურა/ფიგურები)*

2. ტერაკოტის არმიას უამრავი ტურისტი ----------. *(სტუმრობს/სტუმრობენ)*

წერა

1 ამოწერე ტექსტიდან ფაქტები და მოსაზრებები და დააჯგუფე.

ფაქტი	მოსაზრება/ვარაუდი
ტერაკოტის არმია 1974 წელს აღმოაჩინეს ჩინეთში.	ფიქრობენ, ტერაკოტის არმია 2200 წლის წინ შეიქმნა.
----------	----------
----------	----------
----------	----------

2 აღწერე ერთი მეომარი ტერაკოტის არმიიდან (როგორია გარეგნობით, რა აცვია...), **შეადარე სხვა მეომრებს. რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან? შენი ნაწერი გააფორმე ნახატით.**